# ახალი სხივი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხუთშაბათი, 11 მარტი 1910 წ. № 30

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. ჩძიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

განცხადებების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამ.ის 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი· გაზეთის გამოცემა ... ლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ერთი შაური. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ახალი სხივი“

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის

გაზეთი ღირს: თფილისსა და თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., საზღვარ-გარეთ: ერთი წლით 14 მ., ნახევარი წლით 7 მან. სამი თვით: თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კ., ერთი თვით: თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში „ახალი სხივის“ კანტორაში, ბათუმში, სამტრედიაში და ქვიათურაში რკინის გზის შკაფებში, ქუთაისში ის. კეიცარიძესთან, ჩოხატაურში ს. თავართქილაძესთან—წიგნის მაღაზიაში, ოზურგეთში მ. თალაკვაძესთან, ხიდისთავში ნ. კობიძესთან, ფოთში ს. ორაგველიძესთან. დანარჩენ ადგილებიდან ფოსტით უნდა გამოგზავნონ ფული რედაქციის კანტორაში.

რედაქციის ადრესი: რუსის ქუჩა № 3, შემოსავალი დიდი ვანქის ქუჩიდან.

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ, тип. „Шрома“, Калистрату Конст. Цуладзе.

სახალხო სახლი.

კვირას, 14 მარტს,

მუსიკალური საზოგადოება სახალხო სახლთან არსებული, გამართავს ოპერა

რიგოლეტი.

ოპერა 4 მოქმედებიანი.

მონაწილეობას მიიღებენ საუკეთესო ძალები.

დირიჟორი ბ. ვინჩენკო. რეჟისორი ბ. რატილი.

დასაწყისი 8 საათზე. ბილეთების ფასი 5 კ-დან 80 კ-მდე.

ბილეთები იყიდება კასაში. ადმინისტრატორი თ. დოლიძეს

ამით ჩვენ ურჩევთ ყველა მეაბრეშუმეთ ნუ მოერიდებიან ცოტათი მეტ ფასს და შეიძინონ

„სოტირი ადის“ (ბაღდადის)

აბრეშუმ ს თესლი

თუმც ეს თესლი შეიძლება სხვაზედ ცოტათია მეტი ღირდეს, სამაგიეროთ, ყოვლად სიიმედო და უტყუარი გამოდის, რადგანაც, როგორც სტატისტიკურ ცნობებიდან სჩანს, ეს ფირმა საზღვარ-გარეთ ყველაზედ საუკეთესოა უცნიათ და ოფიციალურ დაწესებულებას უმაღლესად დაუმტკიცებია. რომ ეს თესლი იაფათ შეიძინოთ, უნდა მიმართოთ პირდაპირ ფაბრიკის სკლადში, ბათუმში მარიინსკი პროსპექტზე № 19 სახლში, (საურთიერთო ბანკის ქვეშ). (12—4)

გამოვიდა ახალი პაპიროსები

უმაღლესი ხარისხის და ნაზი სურნელებისა

„ИВАН да МАРЬЯ“

25 ცალი 30 კაპ., 25 კაპ., 15 კაპ.

10 ცალი 10 კაპეიკი და 6 კაპეიკი.

სავაჭრო სახლი

ნ. ი ბოზარჯიანცისა

შვილებით 0—8

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

ფეიქრები

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დასდგეს. დრამის შინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლებიდან გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წიგნი ღირს 50 კაპ

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ალიონის“ გამგე ვ. გადილიასთან. პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით.

ფოსტის ადრესი. Тифлисъ, Кирочная ул. № 9 Василію Гадилія. 0—5

კბილის ექიმი

რომანიშვილი—დვეჩუაძისა

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის, პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინ: ავჭალის ქუჩა № 34.

გამოვიდა ახალი № მე-10 სათეატრო-სალიტერატურო-სამხატვრო სურათებიანი ჟურნალი




ამ ნომერში დაბეჭდილია როსტანის პიესა „შანტეკლე“.

თითო ნომერი ყველგან 10 კაპ.

წლიურად 5 მ., ნახ. წლით 3 მ. ხელის მოწერა მიიღება ქართ. დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან.

ადრესი: Тифлисъ, контора Груз. Драм. об—ва, Іос. Зах. Имедашвили (სათავადაზნ. ქარვასლაში, ქართულ თეატრთ ნ).

რედ.-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

მკერვალი ქალი

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა

დაკლებულ ფასებში.

ადრესი: Казбекская № 10 0—1


## პრესა

„დროებელების“ ბანაკში ეს ერთი ხანია დიდი კორიანტელია ატეხილი ტერიტორიის საკითხის შესახებ, როგორც ისინი ეძახიან. „დაიცავით ტერიტორია“—აი ლოზუნგი, რომლის გარშემო მოუწოდებენ ყველას. ამ ლოზუნგის ავტორები დღემდე „თავის ტერიტორიის დაცვის» იქით არ მიდიოდენ. მებრძოლი ნაციონალიზმი დღემდის „თავის დაცვის“ მანტიაში გახვეული გვეჩვენებოდა. დღეს კი „თავის დაცვით“ აღარ კმაყოფილდება და ბ-ნი გ. ქ. ბელადობით იერიშის მისატანათ იკაზმება.

ბ-ნი გ. ქ-ს არ აკმაყოფილებს „თავის დაცვის“ პრაქტიკა და თავდასხმისაკენ მიიწევს.

„დროა ეროვნული ბრძოლის პრაქტიკა შევცვალოთ და თავის დაცვასთან ერთათ თავდასხმაც შევითვისოთ. დროა შევითვისოთ, რომ არ კმარა შერჩენილ მიწა-წყლის დაცვა, არამედ—უცილებელია დაკარგულის უკან დაბრუნებაც. ჩვენ სხვას არაფერს ვედავებით“. („დრ.“ № 54).

„ჩვენ სხვას არაფერს ვედავებითო“—გვარწმუნებს ბ-ნი გ. ქ., მარა იქვე, რამდენიმე სტრიქონებს ქვევით, შავით თეთრზე სწერს:

**ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ ახალი ტერიტორიის დაპყრობისათვის, (ხაზი ჩვენია) თუ მართლა გვსურს ძველის შერჩენა.**

მარა, ეს „ახალი ტერიტორია“, რომლის დასაპყრობათ ბ-ნი გ. ქ. იწვევს ჯარს, ხომ სხვას ეკუთვნის და ნებაყოფლობით, როგორც ვიცით, არავინ დასთმობს თავის ტერიტორიას. მაშასადამე, საჭირო იქნება—„ბრძოლა მედგარი, ბრძოლა შეუპოვარი“! ვეჭვობთ, რომ ასეთი ბრძოლისთვის ბ. გ. ქ. ლაშქარი შეაგროვოს. ის თვითონაც გრძნობს ამას, როცა ამბობს:

„ჩვენ, რასაკვირველია, არა გვწამს, რომ ქართველი ხალხი, რომელიც ასეა შეჩვეული უმოქმედობას და მცონარეობას, უცებ, ერთს მშვენიერ დღეს შესძლებს ამ თავის დიდ ეროვნულ საკითხის და მასთან შეკავშირებულ ზნეობრივ ვალდებულების შეგნებას.

რადგანაც გ. ქ-ს ატესტაციით „ქართველი ხალხი უმოქმედო და მცონარეა“, ის მიმართავს ქართველი ხალხის მარილს—ინტელიგენციას:

„საჭიროა ინტელიგენციის ფართო და ყოველმხრივი პროპაგანდა, საჭიროა წინასწარი მუშაობა, რომელიც დროს, ენერგიას მოითხოვს.

მაშ ასე. ინტელიგენცია ყოველმხრივ და ფართო პროპაგანდას გასწევს, წინასწარ მუშაობას დაიწყებს და ამ მუშაობის შედეგი იქნება „ახალი ტერიტორიის დაპყრობა“!

გაჟღენთილს გატეხილი სჯობიაო—ამბობენ და ამ მხრით ბ-ნი გ. ქ. უფრო გაბედულია, ის აშკარათ ამბობს იმას, რასაც მისი ახალი თანამოაზრეები დღემდის ხელოვნურათ მალავდენ და ბურუსში ხვევდენ. ამ რიგათ, ლოზუნგი: დაიცავით ტერიტორია, შეიცვალა ლოზუნგათ: დაიპყარით ახალი ტერიტორია, რომელიც იმავე დროს ძველის შერჩენაც იქნებაო.

აქ გასაკვირი არაფერია. მებრძოლი ნაციონალიზმი ასეთი ყოფილა ყოველგან, ასეთი იქნება ის ჩვენშიაც და რამდენათ უფრო ადრე გვეჩვენება თავის ნამდვილი სახით, მით უკეთესია ჩვენთვის.

## სახელმწიფო დუმა.

(სააგ. დეპ.)

9 მარტი.

სხდომას თავმჯდომარეობს თავ. ვოლკონსკი. იხილავენ ზღვებზე და მდინარეებზე მიმოსვლის სამმართველოს ხარჯ-აღრიცხვას, რომელსაც ღებულობენ კომისიის გამოანგარიშებით.

შემდეგ გერცევნიცი მოხსენებას აკეთებს რკინის გზათა სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვა უდრის 532624232 მანეთს, კომისიას შეუმცირებია 14 მილიონი მანეთით. მომხსენებელი აღნიშნავს რკინის გზების მეურნეობის მოუწყობლობას, რაც საგრძნობელ ზარალს იძლევა. უფროსი მოსამსახურეები უხვათ სარგებლობენ ყველაფრით, აქვთ მშვენივრათ მორთული უფასო სახლები, ბაღები, სარგებლობენ უფასო ბილეთებით რაც ცუდ გავლენას ახდენს დაბალ მოსამსახურეებზე. მოხსენების აზრით საჭიროა დაინიშნოს სასტიკი რევიზია.

**ძიუბინსკი** ლაპარაკობს დაბალ მოსამსახურეთა შესახებ და აღნიშნავს, რომ მათი მდგომარეობა ძლიერ ცუდია.

**გზათა მინისტრი** ამბობს, რომ რკინის გზების ზარალი არ შეიძლება სავსებით მიეწეროს მეურნეობის ცუდათ დაყენებას, რადგან გზები სახელმწიფოს დაცვის მიზნითაც გაყავდათ, რაც ზარალს იძლეოდა. სამინისტრო სცნობს, რომ რკინის გზის მეურნეობა ცუდ მდგომარეობაშია, ბევრი ნაკლი აქვს და ზომები მიიღო მის გასაუმჯობესებლათ. დასასრულ მინისტრი ეთანხმება კომისიას შემცირებულ იქნას ხარჯთ აღრიცხვა, რადგან დუმის სურვილია უდეფიციტო ბიუჯეტის შედგენა. (მემარჯვენენი, ცენტრი და მემარცხენეთა ნაწილი ტაშს უკრავს).

**კუზნეცოვი** თუმცა დარწმუნებულია, რომ დუმის უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს, მაგრამ ის მაინც თავის მოვალეობათ სთვლის შეეხოს რკინის გზის დაბალ მოსამსახურეთა და მუშათა მდგომარეობას, რომლების წყალობითაც, უმთავრესათ, არსებობს დუმა. მიღებულ წერილებით და თხოვნებით ორატორი ახასიათებს რკინის გზის პროლეტარიატის უკიდურეს მატერიალურ მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ სამინისტრო თავის ზომებით უფრო უარეს პირობებში აყენებს მას. ორატორის სიტყვით მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება მანამ არ შეიძლება, სანამ თვით მუშები არ შეკავშირდებიან და თავიანთ ძალ-ღონით არ გაიუმჯობესებენ მდგომარეობას.

დასასრულ დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვის ათ მუხლს და სხდომა იხურება. შემდეგი სხდომა დანიშნულია 10 მარტს.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

10 მარტი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** მიუხედავათ იმისა, რომ მთავრობის განკარგულებით აკრძალეს ნაურუზის დღესასწაული, მცხოვრებნი მაინც დღესასწაულობენ. სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი ბასმინჯანიდან გაემგზავრენ და საჯიევში გაჩერდენ.

### ოსმალეთი

**სტამბოლი.** ორშაბათს სულთანის სასახლეში სადილი გამართეს. დაესწრო ბულგარეთის მეფე-დედოფალი და სხვა დიდებული.

— მეფე ფერდინანდმა და სულთანმა ერთი მეორეს საჩუქრები მიართვეს.

**სალონიკი.** ბერანში 15,000 კაცმა მიტინგი გამართა ლათინურ შრიფტის შემოღების შესახებ. საჯაროთ დასწვეს არაბული წიგნები. სახალხო განათლების სამინისტროს მიწერილობით ეგზარხისტების ინსპექტორებს აეკრძალათ მაკედონიაში ბულგარელთა სკოლების რევიზია. ეს უფლება მიენიჭათ მხოლოდ ოსმალეთის სახელმწიფო ინსპექტორებს. ბულგარელები ამ განკარგულებაში ხედავენ მათი სკოლების ავტონომიის დარღვევას და სერიოზულ პროტესტს ამზადებენ.

### საზღვარ-გარეთ

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. განაგრძობენ მოწმეების შეკითხვას. რუსეთის ელჩმა სუნდი საიაზმა განაცხადა, რომ მასთან მივიდა ტარნოვსკაია და რჩევა სთხოვა, როგორ შეიძლებოდა გაჰყოლოდა ცოლათ კომაროვსკის, ისე, რომ ქმარს არ გაჰყროდა. ელჩმა უპასუხა, რომ ასეთი ქორწინება არ შეიძლებოდა. ვენის პოლიციის უფროსმა განაცხადა, რომ კომაროვსკის მოკვლის ამბავმა ეჭვი დაუბადა. მკვლელობაში მონაწილე იყვენ ის პირნი, რომელნიც ვენაში ცხოვრობდენ, მით უმეტეს, როცა გაიგო, რომ კომაროვსკი დაზღვეული იყო და პრემია მაშინაც უნდა მიეცათ, უკეთუ მას მოკლავდენ. შემდეგ მან გააცნო რა პირობებში მოხდა ტარნოვსკაიას და პრილუკოვის დატუსაღება. პირველათ ის აღიარებდა, რომ ყველაფერში დამნაშავე იყო ტარნოვსკაია, მაგრამ შემდეგ შესცვალა ეს აზრი. ნაუმოვი, მიზი აზრით, ბრმა იარაღი იყო მათ ხელში.

**ვენეცია.** მოწმეები დაწვრილებით აღნიშნავენ პრილუკოვის და ნაუმოვის ყოფნას ვენეციაში. ერთი ამბობს, რომ რამდენჯერმე ნახა ნაუმოვი დასეირნობდა კომაროვსკის სახლის ახლოსო. რამდენიმე დღის შემდეგ გაიგონა სროლის ხმა კომაროვსკის სახლთან და იქიდან გამოვიდა მტირალი ნაუმოვი. ჩვენებას ართმევენ სასტუმროს ორ მოსამსახურეს. ამ სასტუმროში ჩამოხტენ ნაუმოვი და პრილუკოვი ყალბი პასპორტებით. მოსამსახურეები ამბობენ, რომ ნაუმოვი აღელვებული იყო და ლიქორს და შამპანიურს სვამდა. განდლერმა სთქვა, რომ ნაუმოვმა მას რამდენიმე ას ფრანკიანი მისცა და სთხოვა სადგურზე მიყვანა.

**ლონდონი.** რეზოლიუციებში, რომლებსაც ნაადგომევს წარადგენს ასკვიტი, განზრახულია წაართვან უფლება ლორდთა პალატას უარყოს და შესცვალოს საფინანსო კანონ-პროექტები, რომლებიც სათემო პალატის მიერ მიღებულ იქნება.

**ათინა.** პალატაში ფესალიის ამბების განხილვის დროს დრაგუმისმა დაიცო მთავრობის მიერ მიღებული ზომები. მან განაცხადა, რომ მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს წესიერების დამრღვევათა წინააღმდეგ.

**ლონდონი.** ლორდთა პალატამ მიიღო როზბერის რეზოლიუცია, რომ ძლიერი და შრომის უნარის მქონე მეორე პალატა არის კონსტიტუციის შემადგენელი ნაწილი. ამის მიღწევა შესაძლებელია ლორდთა პალატის რეფორმით. მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ წინააღმდეგი არაა რეზოლიუციის, მაგრამ თავის დღეში თანახმა არ იქნება იმ ზომების, რომლებიც სათემო პალატასთან შედარებით ლორდების გაძლიერებას ხელს შეუწყობენ.

**ჩიკაგო.** მატარებლის დამტვრევის დროს ოფიციალური ცნობით მოკლულია 45, დაჭრილია 31.

**ბუდაპეშტი.** ჰერცოგმა იოსებმა, როგორც იმპერატორის წარმომადგენელმა ბუდაპეშტის გოფბურგში გამოაცხადა პარლამენტის დათხოვნა. იუსტის და კოშუტის პარტიები არ დასწრებიან. პასუხის გებაში მისცეს ყველა დეპუტატები, რომლებმაც გუშინ ძალა იხმარეს და მინისტრებს სცემეს. მიწათ-მოქმედების მინისტრი და მინისტრ-პრეზიდენტი მძიმეთ არიან დაჭრილნი. ბუდაპეშტის და ვენის გაზეთები კიცხავენ გუშინდელ ამბავს.

### რუსეთი.

**პოლტავა.** საგანგებო საქმეთა გამომძიებელმა დაატუსაღა სოფელ ვოზნესენსკის მღვდელი პროკოპოვიჩი პოლიტიკურ დანაშაულობისათვის.

**სიმფეროპოლი.** სამსახურიდან დათხოვნილმა „გოროდოვოიმ» საპოლიციო უბანში რევოლვერი ესროლა ბოქაულ პადეისკის და მსუბუქათ დასჭრა.

**პეტერბურგი.** მოსკოვის საოლქო სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის განკარგულებით დაატუსაღეს თავადი ვოლკონსკი. აბრალებენ სხვა და სხვა ბოროტმოქმედების ჩადენას.

**ვლადიკავკაზი.** მეცხვარეთა საზოგადოების თავმჯდომარე მამონტოვის დაჭერის

დროს, მას აღმოაჩნდა ხუთი წერილი, რომლითაც ზედიმ-ხანის სახელით ის სხვა მეცხვარეებს **130,000** მანეთს სთხოვდა.

---

### ქალაქის საბჭოს დარბაზი.

„დეე, ყველას თავისი ეთიკა ჰქონდეს“.
*კოკჩაევი.*

ქალაქის საბჭოს უკანასკნელი სარო-მაბათო სხდომა ძლიერ საინტერესო იყო. ერთ კითხვაში „დემოკრატიული“ გამგეობა მარტოთ დარჩა. მას მხარი არ დაუჭირა კონსერვატიულ საბჭოს არც ერთმა ხმოსანმა. გამგეობას არა სასურველად მიაჩნია, რომ ხმოსანმა ჯამაგირიანი ადგილი დაიკავოს საბჭოს არჩევით და იმავე დროს ხმოსნათაც დარჩეს. ამ კითხვას გამგეობამ კენჭი უყარა და ერთი კენჭიც ვერ მიიღო. და ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამ კითხვის საზოგადოთ გადაჭრა შეუძლებელია. ის. დოლუხანოვი და ვას. დემიდოვი ამ კითხვის შესახებ ამბობენ: პირველი—შეიძლება თუ არა ხმოსანი ერთ და იმავე დროს ხმოსანიც იყოს და საბჭოდან ჯამაგირიანი ადგილი აიღოს! ამ კითხვას მე ვერ ვუპასუხებ; მე ეს არ ვიცი. თუ ხმოსანი რომელიმე საქმისთვის მცოდნე და სასარგებლო კაცია, მე, რასაკვირველია, მას ავირჩევ ამ საქმისთვის და ჯამაგირსაც დავუნიშნავო“. მეორე: „ეს კითხვა იმის დაგვარად უნდა გადიჭრას,—არის თუ არა ჯამაგირიანი ადგილი დამოკიდებული გამგეობისაგან, არის თუ არა ჯამაგირიანი ხმოსანი დამოკიდებული გამგეობისაგან? თუ არის, ჯამაგირიანი ხმოსანი შეუძლებელია; თუ არა,—წინაღმდეგი ჩვენ არაფერი არ გვექნებაო“.

თქვენ ამბობთ,—გაიძახიან ბ. ბ. კოკჩაევი, ტიგრანოვი და ენფიანჯიანცი,—რომ ჯამაგირიანი ხმოსნობა ზნეობას ეწინააღმდეგება, ეთიკის წინააღმდეგია? ნეტა, რომელ ეთიკაზე ლაპარაკობთ! ნუ დაივიწყებთ, რომ საბჭოს ეთიკას ქალაქის დებულების ცენზი უდევს სარჩულად. ნუ დაივიწყებთ, რომ ეთიკა ცვალებადია. მოიგონეთ **1905—06** წლების ეთიკა. დღეს კი ის ეთიკა „პატრონს ჩაბარდა“. დეე, ყველას თავის ეთიკა ჰქონდესო.

და ხმოსან მელიქ-ფარსადანოვსაც თავის ეთიკა ჰქონებია: მას ქალაქის მიწაზედ მუხრანის ხიდთან, სახლი აუშენებია. მას შეშლია: ქალაქის ადგილი თავისი საკუთება ჰგონებია.

გამგეობა? გამგეობას ჯერ სახლის ერთი გეგმა დაუმტკიცებია მისთვის, მერე მეორე. თუ მელიქ-ფარსადანოვს „შეეშალა“, გამგეობამ რისთვის დროზე მას ეს „ნედორაზუმენიე“ არ აუხსნა? რისთვის დროზე არ დაეპატრონა ქალაქის საკუთრებას? და აი, მიდის ბ. ფარსადანოვი და საბჭოს ეუბნება: დავანებოთ თავი სასამართლოში დავას; მოვრიგდეთ. თქვენი მიწა მე, თქვენ კი მიირთვით საჟენში სამი თუმანიო. გამგეობა თანახმაა მორიგებით გათავდეს საქმე, მხოლოდ საჟენში ასი მანეთი უნდა გამოერთვასო. საბჭომ არც ამ კითხვაში გამოუცხადა გამგეობას თანხმობა. მან კითხვა „ღიათ“ დასტოვა: ჯერ ადგილობრივი გასინჯვა უნდა მოვახდინოთო ამ კითხვის გამორკვევის დროს ჩვენი ყურადღება ერთმა გარემოებამ მიიქცია: ბ. ფარსადანოვი ძლიერ აჩქარებით აშენებდა სახლს ქალაქის ადგილზე. მას, ალბათ, სურდა, რომ მუხრანის ხიდსაც და მის სახლსაც ერთ და იმავე დროს დაეწყოთ მოქმედება. ჩვენ გვიკვირს, როგორ ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება „დემოკრატიულმა“ გამგეობამ ბ. ფარსადანოვის „შემეშალას“, როდესაც მისი ყურადღება, ხანდისხან, განვითარებულია. ავიღოთ კითხვა ქალაქის ცენტრალურ ელექტრონულ სადგურის შესახებ. აბა ვინ იქნება ამ სადგურის აშენების წინააღმდეგი! ქალაქისათვის ეს ძლიერ სასურველია.

ბნელა: ნაძალადევში, ავლაბარში, ორთაჭალაში, საზოგადოთ განაპირა უბნებში. ააშენებენ ელექტრონულ სადგურს და ეს უბნებიც პირველ რიგში განათდებიან. ჩვენ ეს ასე გვეგონა. არა, კი არ გვეგონა,—ეს ასე უნდა ყოფილიყო. ამას სამართლიანობა მოითხოვდა, ვინაიდან განაპირელებიც ქალაქის ღვიძლი შვილები არიან და მათაც შეაქვთ თავიანთი წვლილი ქალაქის კასაში. ეთიკას რომ გადააწყვეტინოთ ეს კითხვა, ის უთუოდ პირველად ჯაბნელებულ ადგილებს გაანათებდა.

მაგრამ რადგანაც ამ ეთიკას ქალაქის დებულების ცენზი უდევს სარჩულათ, როგორც ამას გულ-ახდილათ ამბობს ბ. ტიგრანოვი,—უპირველეს ყოვლისა, ამბობს ხმოსანი ენფიანჯიანცი, სადგური გაანათებს სოლოლაკს, გოლოვინის პროსპექტს, მიხაილოვის ქუჩას და მხოლოდ შემდეგ სხვა რაიონებსაც უწილადებენ სინათლესო. ამგვარათ, ჯერ გაანათებენ ისედაც განათებულ რაიონებს, მერე კი (ნეტა როდის?) დაბნელებულებს.

არავინ იფიქროს, რომ აქ რაღაც ულოღიკობაა. ენფიანჯიანცს ჩვენ ამას ვერ დავსწამებთ—ულოღიკობა ის იქნებოდა, ჯერ რომ ქალაქის დემოკრატიული ნაწილი გაენათებინა და მერე არისტოკრატიული... არისტოკრატიულ საბჭოს. „დეე ყველას თავისი ეთიკა ჰქონდესო“,—აკი სთქვა გამგეობის წევრმა ბ. კოკჩაევმა.

ჩვენ ვურჩევთ განაპირელებს და საზოგადოთ ქალაქის დემოკრატიულ ნაწილს დაესწრონ ქალაქის საბჭოს სხდომებს. ჩვენი ხმოსნები ძლიერ პირდაპირი და გულ-ახდილი ხალხია. დღეს დასამალავი აღარაფერი არ აქვთ. დაესწარით და გაიგებთ, როგორ განაგებენ ჩვენი „მამები“ ქალაქის საქმეებს.

*იკა.*

## ახალი ამბები

✦ **მატარებელზე თავდასხმა.** სადგურ ნიგოითსა და საჯევახოს შუა **9** მარტს საქონლის მატარებელი **№ 323** რკინის გზის ლიანდაგს გადასცა. მატარებლის მოსვლამდე ბოროტ-მოქმედთ რკინის გზის ლიანდაგი გაეფუჭებიათ. მაშინისტმა თუმცა შენიშნა ეს, მაგრამ მატარებლის შეჩერება ვერ შესძლო, რადგან მატარებელი ამ დროს თავ-დაღმართში მიჰქროდა. მატარებელი ლიანდაგს გადასცდა. **10** ვაგონი დაიმსხვრა. უფროსი კონდუქტორი მეგრელიშვილი მოკვდა. ამ დროს ტყიდან **20** შეიარაღებული ავაზაკი გამოხტა და სროლა აუტეხეს იმ ვაგონს, რომლითაც „არტელშჩიკს“ ფული მიქონდა მოსამსახურეთათვის ჯამაგირის დასარიგებლათ. „არტელშჩიკს“ თან დარაჯები ახლდათ. მათაც ასტეხეს სროლა. სროლის დროს მოჰკლეს „არტელჩიკი“ სტროგანოვი, დაიჭრა სამი დარაჯი. ჟურავლოვი, ხომენკო და შვარაშეინიკოვი. ფულის წაღება ვერ მოახერხეს. ავაზაკები მიიმალენ. („კავკ“).

✦ **ქართული თეატრის იჯარით აღება.** თფილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში ა. გ. რჩეულოვმა განცხადება შეიტანა ქართული თეატრის იჯარით აღების შესახებ. საიჯარო ფულათ რჩეულოვი **14,000** მან. იძლევა.

✦ **საზოგადო მოვალეობის აღმასრულებელ** პირთათვის დამხმარე საზოგადოების წესდება გუბერნატორის მიერ უკვე დამტკიცებულია. საზოგადოების მიზანია დახმარება გაუწიოს იმ პირთ, რომელნიც დაზარალებულან, ან დახოცილან სამსახურის დროს. საწევრო გადასახადი **3** მ.

✦ **მუსიკალურ საზოგადოებაში.** კვირას, **14** მარტს, მუსიკალური საზოგადოების მიერ სახალხო სახლში წარმოდგენილი იქნება ოპერა „რიგოლეტო“. დასაწყისი საღამოს **8** საათზე.

✦ **ლექცია.** თფილისში მოელიან ლექტორ ლვოვ-რაგოჩევსკის, რომელიც წაიკითხავს 3 ლექციას შემდეგ თემაზე: «მ. გორკი და ბალმონტი».

✦ **ხელოვნების წამქეზებელი საზოგადოების** წევრთა კრება დანიშნულია შაბათს, **13** მარტს: კრებაზე განიხილავენ გასულ წლის ანგარიშსა და მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

✦ **ტელეფონი სოჭაში.** სოჭაში არსდება ფოსტა-ტელეგრაფის სატელეფონო განყოფილება.

✦ **ლექცია სახალხო სახლში.** კვირას, **14** მარტს, სახალხო უნივერსიტეტის სასარგებლოთ ა. ნ. ლისოვსკი წაიკითხავს ლექციას „მე-19 საუკუნის შესავალ და საფრანგეთის დიდი რევოლიუცია“. შემდეგ ამისა ლისოვსკი გაემგზავრება განჯაში და ბაქოში.

✦ **ჩხრეკა და დაპატიმრება. 9** მარტს მე-8 საპოლიციო უბანში პოლიციამ დააპატიმრა ადმინისტრატიული წესით გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნებული თფილისის მოქალაქე კ. ?. რგვაზოვი.—ამავე დღეს პოლიციამ შეიპყრო **20** უპასპორტო.

✦ **მკვლელობა ციხეში. 9** მარტს ბაქოს ციხეში დარაჯმა მოჰკლა გამიძიების ქვეშ მყოფი ტუსაღი.

✦ **საავათმყოფოები თფილისში.** მიუხედავათ იმისა, რომ მიხეილის საავათმყოფოს გარდა თფილისში კიდევ არსებობს არამიანცის სახელობის საავათმყოფო, საავათმყოფოებში დასაწოლ ადგილს ვერ შოულობენ. ამ წლის იანვრის განმავლობაში **827** ავათმყოფი დარჩენილა უადგილოთ. თებერვლის განმავლობაში **695** ავათმყოფისათვის უთქვამთ უარი. როგორც ამბობენ, ახლო მომავალში თფილისში **500** ავათმყოფისათვის ახალ საავათმყოფოს გახსნიან.

✦ **თფ. პოლიციის შეიარაღება.** გუბერნატორმა ნება დართო ქალაქის გამგეობას ორი კვირის ვადაში ახალი იარაღებით შეაიარაღოს ქალაქის პოლიცია. გუბერნატორი ამასთანავე ცნობებს თხოულობს, თუ ვის მიერ იყო შეძენილი ძველი იარაღი, ქალაქის თუ ხაზინის მიერ?

✦ **უფასო და იაფი სასადილოებში.** შესდგა „უფასო და იაფი სასადილოების საზოგადოების წევრთა კრება“. განიხილეს გასულ წლის ანგარიში. წლის განმავლობაში შესულა სულ **13,169** მ., გასავალი უდრის **9,342** მ. საზოგადოებას ყოლია **200** წევრი. საანგარიშო წელს გაუციათ სულ **140,000** სადილი, ამათგან ყოველდღე **100** სადილი უფასო ყოფილა. აირჩა საზოგადოების გამგეობა და სარევიზიო კომისია.

✦ **ჟურნალისტთა სამსჯავროში.** ჟურნალისტთა საზოგადოების მიერ არჩეულ პატივის აღმდგენ სასამართლოდან ნაგურსკიმ და ყიფიანმა სპასსკი და მამულაიშვილი გადააყენეს. ნაგურსკი და ყიფიანი ახალი მასალების მიწვდენას პირდებიან სასამართლოს.

✦ **შეტაკება სპარსელ ავაზაკებთან.** ბაქოს გუბერნიაში ძლიერ გახშირებულა სპარსელ ავაზაკების მიერ თავდასხმა საზღვარზე მდგომ დარაჯებზე. ამას წინათ სპარსელი ავაზაკები თავს დაესხნენ საზღვარზე მდგომ დარაჯებს. დასჭრეს და მოჰკლეს რამდენიმე დარაჯი. თავდასხმა განმეორდა **24** თებერვალს. დასჭრეს რამდენიმე დარაჯი. ავაზაკები მიიმალენ.

✦ **ითარგმნება და ჩქარა მზათ იქნება** მ. გორკის ცნობილი თხზულება „Мать“ (დედა)

---

**შეცდომის გასწორება.** გუშინდელ ნომერში მოთავსებულ პრესაში, მეორე სვეტზე, „ხალხი“-დან მოყვანილ სიტყვების ბოლოში სწერია: ხაზი ჩვენია. უნდა იყოს: ხაზი ავტორისაა.

### სამგლოვიარო წერილი.

ძლიერ დაგვამწუხრა გრიგოლ კალანდაძის უდროვო სიკვდილმა. იგი განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე მებრძოლთაგანი იყო. ვიზიარებთ მისი ოჯახის განუსაზღვრელ მწუხარებას.

**ფუნდუ და ნიკო.**

---

## სახელმწიფო დუმა

**დეპ. ჩხეიძის სიტყვა შინაგან სამინისტროს ბიუჯეტის შესახებ.**

(სტენოგრაფიული ანგარიშიდან)

რამდენიმე დღის წინათ ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისი, თუ როგორ ულოცავდენ ერთმანეთს დუმის უმრავლესობა და ფინანსთა მინისტრი გასული წლის ფინანსიური ბალანსის ბედნიერათ დასრულებას. მთავრობის, საბიუჯეტო კომისიის და დუმის უმრავლესობის აწონდაწონით გამოირკვა, რომ გასული წლის ბიუჯეტმა ქვეყანა გამოიყვანა იმ ეკონომიური „ტუპიკიდან», რომელშიაც რუსეთი განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დ „კრამოლნიკებმა“ მოამწყვდიეს. ამნაირათ, აღმოჩნდა, რომ ის ფინანსიური პოლიტიკა, რომელსაც, კოკოვცევის სიტყვით, მთავრობა დიდი ხნის განმავლობაში ხმარობდა,—ეს ფინანსიური პოლიტიკა გამართლდა. როგორც ეს ჩვეულებრივათ ხდება, საერთო მხიარულებაში, საერთო დღესასწაულში „დისონანსი“ შეიტანეს სკეპტიკებმა, რომელნიც მარცხენა სკამებზე სხედან; მათ განაცხადეს, რომ ეს დღესასწაული და ეს მხიარულება უდროო და უადგილოა, რადგან ქვეყანა იმავე ეკონომიურ „ტუპიკში“ სდგას, რომელშიაც ამ ორი წლის წინათ იყო. არც მესამე დუმას, არც ახლანდელ ფინანსთა სამინისტროს ქვეყნის ამ „ტუპიკიდან“ გამოყვანა არ შეუძლიათ. ასეთი იყო ჩვენ მიერ თანამედროვე მომენტის დაფასება. ვინ უკეთ დააფასა ეს მომენტი, ვინ უფრო ობიექტიურათ შეეხო საქმეს—ამ კითხვაზე პასუხი უნდა მოგვცეს ცხოვრებამ და ქვეყანამ. მე იმედი არა მაქვს, რომ ქვეყანამ ამ წუთშივე მოგვცეს გადაწყვეტილი პასუხი ამ კითხვის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ადრე თუ გვიან მან უნდა მოგვცეს ეს საგულისხმიერო პასუხი, და მე საბუთი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს „პასუხი იქნება ჩვენდა სასარგებლოთ და ქვეყანაც იმ სახითვე დააფასებს თანამედროვე ეკონომიურ მდგომარეობას, როგორც ეს ჩვენ ვქენით. ამ ჟამათ ჩვენ დასკვნას ვუკეთებთ გასული წლის საშინაო პოლიტიკას და ვცდილობთ დავაფასოთ რუსეთის ხალხის შარშანდელი წლის პოლიტიკური ცხოვრება. ამ ჟამათ, მაშასადამე, ჩვენს წინაშე კითხვა სდგას: შესძლო მთავრობამ ქვეყნის გამოყვანა იმ ტუპიდან, რომელშიაც რუსეთის საზოგადოება და რუსეთი იმავე განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და „კრამოლნიკებმა“ ჩააგდეს, თუ არა? ჩვენ ბედნიერება გვქონდა მოგვესმინა ამ კითხის შესახებ თითქმის დუმის ყველა ფრაქციების წარმომადგენელთა სიტყვები, გარდა სოციალდემოკრატებისა. მერე რა აღმოჩნდა? აქ უკვე აღარ ვხედავთ აზრებისა და სულიერ განწყობილებათა იმ ჰარმონიას, რომელიც ჩვენ მოვისმინეთ, როდესაც წარსულ სხდომებზე დუმა რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობის თანამედროვე მომენტის დაფასებას შეეხო. აქ უკვე აშკარათ ვამჩნევთ, რომ უნდობლობას, გულ-გატეხილობას და სკეპტიციზმს ფეხი მოუდგამს ისეთი ადამიანების გულშიაც კი, რომელნიც გაუსწორებულ ოპტიმისტებათ გვეჩვენებოდენ,—ეს ერთი მხრით. მეორე მხრით—აქ, აღმოჩნდა არა ნაკლებათ საგულისხმიერო მოვლენა: ძალიან შეისხეს ფრთები და გამხნევდენ, შეგვიძლია ვსთქვათ, გათავხედდენ ის პირები, რომელნიც თავიანთი საქმის დასრულების შემდეგ, მოსალოდნელი იყო, თავიდან უნდა მოგვშორებოდენ (ხმები მარჯვნიდან: ა,—ა!) გეტყობათ, მიხვდით. (მარცხნით ტაშის ცემა). ჩვენ აქ მოვისმინეთ ძალიან დაკვირვებული, საუცხოვო, ლამაზი და, ჩვეულებრივათ, დიდი გატაცებით ნათქვამი სიტყვა პატივცემულ დეპუტატ მაკლაკოვისა, რომელიც სახალხო თავისუფლების ფრაქციის წარმომადგენელია. რა გვითხრა, ბ.ბ., ჩვენ პატივცემულმა დეპუტატმა? (ხმები მარჯვნიდან: „არაფერი!.») ამას თქვენ ახლავე მოისმენთ. მან განაცხადა: „მე დღეიდან მთავრობის აღარაფერი მწამს, მე მას ზურგი შევაქციე, ამას იქით მე მას არავითარ ნდობას აღარ ვუცხადებ“-ო. ჩვენ სიხარულით ვეგებებით პატივცემულ დეპ. მაკლაკოვის ასეთ განცხადებას და ვამბობთ: საჭირო იყო აქამდისაც დაგენებებიათ თავი მისი ნდობისათვის (სიცილი და ტაშის ცემა მარცხნით). ...აქამდისაც უნდა დაგკარგოდათ რწმენა იმისი, ვისი რწმენაც შეუძლია მხოლოდ ისეთ ხალხს, რომელმაც მათვრობის შესახებ თავისი ილიუზიები შექმნა და არას გზით არ შეუძლია ამ ილიუზიების თავიდან მოშორება, მაგრამ ჩვენ არ გვჯერა, რომ მაკლაკოვის ურწმუნობა (безвѣріе) საბოლოო იყოს (მარჯვნით სიცილი). ის ისე შეესისხლხორცა მთავრობისადმი რწმენას, ეს რწმენა მასში (მაკლაკ.) იმდენათ განმტკიცდა, რომ ამ რწმენის სრულიად აღმოფხვრაზე, მგონია, ლაპარაკიც არ შეიძლება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში, რაც მოხდა, ისიც არ არის ცუდი ნიშანის მაჩვენებელი (სიცილი). „დიახ, იმეორებდა დეპ. მაკლაკოვი,—მე დღეიდან მთავრობის აღარაფერი მრწამსო.“ ახლა კითხვა იბადება: რა მოხდა, რითი აწყენია ასე ძლიერ მთავრობამ დეპუტატ მაკლაკოვს? დეპ. მაკლაკოვმა მოგვცა ამ კითხვაზე დამახასიათებელი და ნათელი პასუხი: „რევოლიუცია,—ამბობდა მაკლაკოვი,—საზოგადოების ეგზამენია (გამოცდა), რეაქცია-კი მთავრობის“. ჩვენი საზოგადოება გამოსაცდელათ წარსდგა განმათავისუფლებელი მოძრაობის დროს, მაგრამ მოუმზადებელი, მოუმწიფებელი აღმოჩნდა, რომ ცხოვრებაში გაეტარებია ის მოთხოვნილებანი, რომელნიც მან წამოაყენა. აქედანო, განმარტა დეპ. მაკლაკოვმა, წარმოსდგა გულის აცრუება...

**ნოვიცკი 2** (ადგილიდან): ხელმძღვანელებზე.

**ჩხეიძე.** დიახ, აქედან წარმოსდგა გულის აცრუება რევოლიუციის ხელმძღვანელებზე, რევოლიუციონურ ბრძოლის საშვალებებზე, ლოზუნგებზე, რომლებსაც რევოლიუციის დღეებში აყენებდენ. ამ რიგათ, რევოლიუცია დამარცხდა, და რევოლიუციის ადგილი დაიჭირა..

(ხმები ცენტრიდან: დეპუტატმა ჩხეიძემ!) არა,—ჩხეიძემ კი არა, არამედ—რეაქციამ (სიცილი).

**თავმჯდ.** უმორჩილესათ გთხოვთ ადგილებიდან ნუ ლაპარაკობთ. მხოლოდ ორატორს ვთხოვ პასუხს ნუ გასცემს იმ კითხვებზე, რომელსაც ადგილებიდან იძლევიან.

**ჩხეიძე.** ვეცდები. ამ რიგათ, რევოლიუციის ადგილი რეაქციამ დაიჭირა და მთავრობას ასეთი კითხვა დაუსვეს: შეუძლია თუ არა მას (მთავ.) რეაქციის ეგზამენი დაიჭიროს? მთავრობაც უპასუხებს: როგორ არა, მე შემიძლია ეს, მე ცხოვრებაში გავატარებ რევოლიუციის უფრო საღ მოთხოვნილებებს და ამას ვიზამ მიუხედავათ ყოველი დაბრკოლებისა, მარჯვნიდან იქნება ის, თუ მარცხნიდან. ასე უპასუხა მთავრობამ. მაშინო,—ამბობდა დეპ. მაკლაკოვი,—საზოგადოებამ ისეთი ნდობა გამოუცხადა წინდაწინვე მთავრობას, რომლითაც არც ერთ მთავრობას არ უსარგებლია. ამნაირათ, დადგა მთავრობის ეგზამენი, ეგზამენი რეაქციის. თავიდან, აშკარა საქმეა, დეპუტატი მაკლაკოვი დარწმუნებული იყო, რომ მთავრობა ბრწყინვალეთ დაიჭერდა ეგზამენს, მაგრამ იმედის გაცრუების ჟამიც დადგა! მთავრობა ჩაიჭრა. ამ სახით, რევოლიუციის ეგზამენზე ჩაიჭრა საზოგადოება, რეაქციის ეგზამენზე ჩაიჭრა მთავრობა. და, რადგან ყოველი სახელმწიფო საზოგადოებისა და მთავრობისაგან შესდგება, გამოდის, რომ ყველანი ჩაჭრილან (მარცხნით ტაშის ცემა. ხმები: «ბრავო!») მაგრამ ეს კიდევ ნახევარი უბედურება იქნებოდა, რომ ერთი შემთხვევა არ მომხდარიყო, რომელზედაც, ადვილათ შეიძლება, ზოგიერთი თქვენთაგანი არც კი დაფიქრებულა. პატივცემული დეპ. მაკლაკოვი ხომ ციდან არ ჩამოვარდნილა; ის ცხოვრობდა იმ პლანეტაზე, რომელსაც სახელათ დედამიწა ეწოდება,—ამ დედამიწის განსაზღვრულ ადგილზე, სახელდობ—რუსეთში; და რადგან მთავრობის და საზოგადოების ეგზამენზე ჩაჭრა რუსეთში მოხდა, სჩანს, მათთან ერთათ ჩაჭრილა დეპუტ. მაკლაკოვიც მთელი თავისი შეხედულობით რეაქციაზე და რევოლიუციაზე. აი, საიდან წარმოსდგება დეპ. მაკლაკოვის იმედის გაცრუება. მან მოიხსენია ისტორიული ნემეზიდა (შურის ძიების ღმერთი ძველ საბერძნეთში) მე უნდა გამოვტყდე, რომ ნემეზიდამ მართლაც შური იძია მაკლაკოვზე. ან-კი შური როგორ არ უნდა ეძია, როდესაც მაკლაკოვი ერწმუნებოდა ისეთ მთავრობას, რომელიც მისივე სიტყვით, საუკუნოების განმავლობაში მხოლოდ იმაზე მაცადინობდა, რომ საზოგადოება გაერყვნა. მაკლაკოვი უჯეროდა ისეთ მთავრობას, რომელსაც მხოლოდ ძალდატანებით გამოგლიჯეს ხელიდან მანიფესტის დაპირებანი, ქაღალდზე, რასაკვირველია, და ესეც ისეთ დროს, როდესაც შეშინებულ მთავრობას გზა-კვალი აებნა და კუნჭულებში იმალებოდა. მე ისევ ვეკითხები დეპ. მაკლაკოვს: საიდან გამოიყვანა მან ისეთი დასკვნა, რომ რეაქცია—ეს რეაქციონური მთავრობის ეგზამენია; რომ ტყვიის მფრქვეველების და ხიშტების საშვალებით რევოლიუციის კარტეხილს გადარჩენილი მთავრობა ამ შავბნელ რეაქციის ბატონობის დროს ძალით გამარჯვებული მანიფესტის დაპირებების განხორციელებას შეუდგებოდა? სად გაგონილა ასეთი ამბავი? მე, სწორე გითხრათ, არ ვიცი. დიახ, მე ვფიქრობ, რომ დეპ. მაკლაკოვი ასეთ მაგალითს ისტორიიდან ვერ დამისახელებს. ბოდიშს ვიხდი პატივცემულ დეპ. მაკლაკოვთან, მაგრამ მაინც უნდა ვსთქვა, რომ მე საზოგადოთ არ მინახავს პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც ისე მოხერხებულათ შეძლებოდეს ბუნდოვანი და ორჭოფი აზრის საუცხოვო ფორმაში გახვევა, როგორც ამას ჩვეულებრივათ

# არტელი „ვარიაგი“.

II.

თვითეული წევრი არტელისა მოვალეა შესვლისთანავე შეიტანოს ერთდროულათ 150 მანეთი, ან წლიურათ 30 მანეთი, სანამ 150 მანეთი შესრულდება. ამ 150 მანეთს ხუთი წლის განმავლობაში, ყოველ წელს, უნდა დაუმატოს თვითეულმა წევრმა სამ-სამი თუმანი, რაიცა წესდების ავტორის გამოანგარიშებით (წევრთა რიცხვი გამოანგარიშებულია არა ნაკლები 150,000-სა). შეადგენს 25 მილიონს. ამ დამატებითი 25 მილიონის ერთი ნაწილი ვითომ უნდა მოხმარდეს არტელის წევრების დაზღვევას, ხოლო მეორე ნაწილი, არტელის წევრების შვილებისათვის პირველ-დაწყებითი სკოლის დასაარსებელ ფონდს.

როგორც წინა წერილიდან დავინახეთ არტელის ინიციატორი და დამაარსებელი არის მთავრობა. მაშასადამე მთელი ეს ფული მთავრობის განკარგულებაში იქნება. ცხადია, სკოლებიც მთავრობამ უნდა გახსნას. ბიუროკრატიამ, რომელიც არამც თუ თვით ხსნის და აარსებს სკოლებს, კერძო პირსაც კი არ აძლევს ნებას სკოლების გახსნისა, გახსნილს ხურავს, ანდა ისეთ კალაპოტში აყენებს, სადაც მახინჯდება მოზარდი თაობა, როგორც გონებრივათ, ისე ზნეობრივათ.

აი ვის უნდა გადაეცეს მილიონები, ვინ უნდა აღზარდოს არტელის წევრების შვილები!

სჯერა კიდევ ვინმეს, რომ მთავრობა ამ მილიონებს თავის დანიშნულებას მოახმარს?.. სხვა აუარებელი მაგალითებიც რომ არ იყოს, საკმარისია მოვიგონოთ რკინის გზის მოსამსახურეთა საპენსიო კასის ფულების ბედი! რამდენი არ იწვალეს მოსამსახურეებმა, რომ თავის ჯამაგირიდან დატოვებული ფული გამოეტანათ კასიდან, მაგრამ ვერ ს გახდენ. ასეთივე ბედი ეწია შიმშილობის დროს დასახმარებლათ სოფლებში მოკრებილ თანხას. როცა შიმშილობა გამეფებულია სოფლათ, მათ რამდენჯერმე მიმართეს ვისაც ჯერ არს, რომ მოკრებილი ფული დაებრუნებიათ, სესხათ მაინც მიეცათ თავისი ფული, მარა კაპეიკიც ვერ მიიღეს. ასეთივე ბედი ეწევა იმ 25 მილიონსაც, რომელსაც არტელის ავტორები მშიერ მუშას ართმევენ და მთავრობას აძლევენ: შვილებს გაგვიზრდისო!

ვინ უნდა მიიღონ არტელში? ამას ვტყობილობთ მესამე მუხლიდან, რომელიც ამბობს: «არტელის შესავსებათ საჭიროა აგრეთვე მივიღოთ ჯარის კაცები უფროსების „ატესტაციით“, წევრს უნდა ქონდეს **კეთილ-სიმედობის** (ხაზი ჩვენია) მოწმობა, წევრმა უთუოდ უნდა იცოდეს წერა-კითხვა, რომ შეეძლოს წაკითხვა როგორც ნაბეჭდის, ისე ხელ-ნაწერის».

აქ ყველაზე უფრო საყურადღებოა ის, რომ წევრობისათვის საჭიროა **კეთილ-საიმედობის მოწმობა**. დღეს, როდესაც ყველა, ცოტათ თუ ბევრათ შეგნებული პირი, განსაკუთრებით თუ ის მუშათა არმიას ეკუთვნის, კანონის გარეშე დაყენებული, არა კეთილ-საიმედოთ და სამშობლოს მტრათ არის გამოცხადებული, კეთილ-საიმედოთ კი ცნობილია მხოლოდ შავრაზმელები, აშკარაა, არტელიც შავრაზმული იქნება. აქედან ცხადია, რომ მთავრობა ცდილობს დაარსოს არტელი, არტელი შავრაზმული, რომ უზრუნველყოს რკინის გზები და გემთა მიმოსვლა მოსალოდნელი „ხიფათისაგან“...

აი რისთვის არსდება არტელი „ვარიაგი“ და სამწუხარო ის არის, რომ ამას ვერ ამჩნევენ ჩვენი უმუშევრები და შიმშილისაგან შეწუხებულ-შევიწროვებულნი მზათ არიან ხელი გაუწოდონ მას და მის დაარსებაში მონაწილეობა მიიღონ და ამ გვარათ, თავის უნებურათ, შეუგნებლათ, ხელი შეუწყონ მთავრობის განზრახვას, და თვითონ გალესონ «თავის დასაკლავი დანა».

წესდების ავტორები ყოველივე საშუალებას ხმარობენ, რომ უზრუნველყონ არტელში შავრაზმელების გამაგრება-ბატონობა და მათ განამტკიცონ ის იდეა, რომელიც საფუძვლათ უდევს „ვარიაგის“ დაარსებას. ისინი წინ-და-წინ თადარიგს იჭერენ, რომ თუ ვინიცობაა არტელში მოხვდა მათი არა სასურველი წევრი, დაუყოვნებლივ გააძევონ.

როგორი წევრია მათთვის არა სასურველი და როგორ უნდა გააძევონ ის არტელიდან, ეს ახსნილ-განმარტებულია საერთო წესდების პირველ მუხლში.

რას ამბობს ეს მუხლი? ამაზე შემდეგ.

**გალიონკა.**

# წერილი სპარსეთიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

**სესხის საკითხი და მიტინგი**

რეშტი, 1 მარტი.

როგორც იქნა, დღეს, 1 მარტს, დიდი დავიდარაბის შემდეგ მოეწყო ერთი ძალდატანებითი მიტინგი.

ჯერ კიდევ ამ ერთი კვირის წინ შეუდგენ მიტინგის მოწვევის მზადებას. გამოსძებნეს ერთი სეიდი, რომელსაც ვრცლათ განუმარტეს თუ რა უნდა ეთქვა და პარასკევს მიტინგზე უნდა გამოსულიყო. რაღაც მოსაზრებით ჩვენი ორატორი აღნიშნულ დღეს დაიკარგა. ამბობენ, თითქოს ამ სეიდს ყოველივე დაწვრილებით კონსულისათვის უცნობებია. მაგრამ ამან ინიციატორთა ენერგია ვერ შეაკვეცა და მათ დღეისთვის დანიშნეს მიტინგი, „მომზადებული“ ორატორიც მოსძებნეს და ალაპარაკეს.

პირველ გამოსვლისთანავე ცხადათ სჩანდა მის სახეზე მთელი მისი ფარისევლობა და ამიტომაც მისმა სიტყვამ, რომელიც ერთს საათს გაგრძელდა, ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა მსმენელებზე. მაგრამ საკმარისი იყო ტრიბუნაზე მეორე ორატორი (სეიდი) გამოჩენილიყო, რომ უცებ დაეპყრო მსმენელთა ყურადღება. მან მოკლეთ, მკაფიოთ და მოურიდებლათ დაახასიათა სპარსელთა დიდებულნი. მან სთქვა: სხვა ქვეყნიდან მოსულმა ხალხმა თავისუფლება მოგვიპოვა, მაგრამ ჩვენ შნო არ გვაქვს მას მოუაროთ. ჩვენში არ არის სინდისი, ნამუსი სამშობლოს სიყვარული და ერთმანეთის გატანაო“. ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელთა ღარიბ ნაწილზე, მხოლოდ დიდებულთათვის კი არ დარჩა სასიამოვნო, თუმცა მათი რიცხვი მიტინგზე შედარებით ძალიან ცოტა იყო. უკანასკნელათ ერთმა ორატორმა რუსულათაც წარმოსთქვა სიტყვა.

**სერგო კლდიაშვილი.**

## კავკასიელ ქალთა საზოგადოების კრება

—

აპრილის პირველ რიცხვებში პეტერბურგში უნდა მოხდეს „როსკიპობასთან მებრძოლ საზოგადოების“ სიეზდი. ამ სიეზდზე მონაწილეობა უნდა მიიღოს კავკას. ქალთა საზოგადოებამაც თავისი წევრის გაგზავნით. ამიტომ გამგეობამ საგანგებოთ აირჩია კომისია, რომელსაც მიანდო ხსენებულ საკითხზე ცნობების შეკრება თფილისში, ქუთაისში და სხვა ქალაქებში. რომ უფრო გამოერკვიათ თუ როგორია თფილისში როსკიპთა მდგომარეობა, და რა ზომებს იღებენ მის წინააღმდეგ. კომისიამ გამართა წევრთა კრება და მოიწვია ექიმი ისტამანოვი, რომელიც ვენერიულ ავთმყოფობის სპეციალისტია. ექ. ისტამანოვისგან კომისია ბევრ ცნობების მიღებას ელოდა, რადგან მას ხშირათ უხდება როსკიპებთან შეხვედრა სამკურნალოში.

8 საათზე, პატარა დარბაზი, სადაც კრება იყო მოწვეული, წევრებით აივსო. თავმჯდომარეობდა ექიმი ქალი თარხნიშვილისა. თავმჯდომარემ გააცნო კრებას განსახილველი კითხვები. 1) „პროსტიტუცია“, გარყვნილება და მის წინააღმდეგ ბრძოლა; 2) რა მიზანს აღწევს «რეგლამენტაცია», ე. ი. განსაზღვრული წესების შემოღება როსკიპთა წინააღმდეგ. პირველი სიტყვა თავმჯდომარემ ექიმ ისტამანოვს მისცა. ექიმი კითხულობს მეტად მოკლეთ და უშინაარსოთ შედგენილ მოხსენებას (ალბათ ენციკლოპედიურ ლექსიკონიდან იყო ამოღებული), რომელშიაც ეხება გარყვნილების განვითარებას და როსკიპთა მდგომარეობას სხვადასხვა ხანაში და სხვადასხვა სახელმწიფოებში. შემდეგ ორატორი ლაპარაკობს იმ საშინელ საზოგადოებრივ იარაზე, რომელიც თან დაჰყვება გარყვნილებას—სიფილისზე და სხვა ვენერიულ ავთმყოფობაზე. ბოლოს შეეხო ახლანდელ როსკიპთა მდგომარეობას და მათი საშინელი სისწრაფით განვითარება აღნიშნა. „საშინლათ ედება გარყვნილების ქსელები საზოგადოებას, ირყვნება ახალი მოზარდი თაობა, საჭიროა არის დაცვა საზოგადოებისა. მარა რა ზომები მივიღოთ ამ საშინელი სენის წინააღმდეგ? რეგლამენტაცია სასურველია. ეს ერთად ერთი ზომაა წესიერი, რასაც შეუძლია მათი შემცირება, მარა ამას გაურბიან. რა ქნათ ახლა? კარგია თავშესაფარიც, როგორც მაგალით. არის პეტერბურგში და სხვა ევროპის ცენტრებში—წმ. მაგდალინას თავშესაფრები. მარა იქიდანაც გარბიან. ამგვარათ გამოსავალი არ არის, არ შეიძლება ამ იარის თავიდან აცილება,—დასძენს ექიმი.—ექიმი მომხრეა პროფესორ ტარნოვსკის და ლომბროზოს შეხედულების. ის ამბობს, რომ გარყვნილება იგივე თვისებაა ადამიანისა, რომ როსკიპი იბადება როსკიპული ინსტინქტებით და მათი აღკვეთა შეუძლებელიაო. თავის მოხსენების ბოლოში ის სხვათა შორის სოციალურ-ეკონომიურ პირობებსაც ეხება, ასახელებს მათ, როგორც მიზეზს გარყვნილების განვითარებისას. მისი ეს სიტყვები მე მგონია, ისე სიტყვის [illegible] იყო ნათქვამი, რადგან რა ადგილი აქვს აქ სოციალურ-ეკონომიურ პირობებს, როცა დედაკაცს თურმე თვით ბუნებიდან აქვს [illegible] გარყვნილება. თუ სოციალურ-ეკონომიური [illegible] ნობებია გარყვნილების მიზეზი, მაშინ ხომ მეტის-მეტათ წინააღმდეგობა არის ექიმის მიერ გამოთქმულ აზრთა შორის! მარა წავყვეთ ქვევით. ორატორის ცნობებით თფილისში ყოფილა ათი საროსკიპო სახლი. პოლიციის მეთვალყურობის ქვეშ ყოფილა 1907 წელს 116 როსკიპი, დღეს კი — 117 როსკიპი. ნუ თუ სამი წლის განმავლობაში 1 როსკიპის მეტი არ მომატებია იმ უბედურთა არმიას, რომელიც დღითი-დღე მატულობს!? რაც შეეხება რეგლამენტაციას, ე. ი. განსაზღვრული წესების ქვეშ მყოფ როსკიპთა რიცხვს თფილისში მეტად უმნიშვნელოა. თითქმის არავითარი დაწვრილებითი ცნობები არ არსებობს. ექიმის სიტყვით, ეს რიცხვიც ძლივს შეუკრებია მას, რადგან პოლიცია ვერ აქცევს ჯეროვან ყურადღებას როსკიპობასო. პოლიციის შემოწმებას როსკიპები გაურბიან და მით სპობენ საშუალებას სწორი ანგარიში ვიქონიოთო. ორატორის აზრით გარყვნილობის მოსპობა შეუძლებელია. მისი მოწესრიგება კი აუცილებელი. საჭიროა ამ საკითხს ქალაქის თვითმართველობამ მიაქციოს ყურადღებაო. ქალაქმა უნდა აგოს საროსკიპო სახლებით, მოაწყოს შიგ ჯეროვანი პირობები, იყოლიოს საკმაო რიცხვი ექიმებისა და მით აცილოს ქალაქი საშინელი სენის—სიფილისისაგანო.

შემდეგ ილაპარაკა ექიმმა ქალმა შერვაშიძემ. ქ. შერვაშიძემ. მან თავის სიტყვაში საკმაოდ დაახასიათა ქალის მდგომარეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. დაწვრილებით შეეხო დღევანდელ კაპიტალისტურ ხანას და სთქვა, რომ „გარყვნილება კაპიტალის ღვიძლი შვილიაო“. ის შეეხო იმ პირობებს, რომელშიაც დღეს ქალები საზოგადოთ და კერძოთ მუშა ქალები იმყოფებიან. მუშა დედაკაცს ეზარება გარყვნილება, მას სძულს ეს ხელობა, მარა ცხოვრება აიძულებს მას დაადგეს ამ გზას, რომ თავი იხსნას შიმშილისგან, უფლებლობა, უმწეო მდგომარეობა რყვნის მათ, უსპობს ადამიანობას. მე ვიცნობ როსკიპ ქალებს. მე, როგორც ექიმს, მიხდება მათთან ხშირათ შეხვედრა. ისინი სტირიან, სირცხვილისაგან იწვიან, როცა თავის მდგომარეობაზე ლაპარაკობენ. აბა დააკვირდით ჩვენს ცხოვრებას, აბა გაიცანით ის ჯოჯოხეთური პირობები, რომლებშიაც იმყოფება მუშა ქალები ქარხანა-ზავოდებში, და მაშინ

---

ჩაიდის დეპ. მაკლაკოვი (ხმები მარჯვნიდან: ბრავო, ბრავო!) გაიხსენეთ, ბბ., მაკლაკოვის სიტყვები, როდესაც ის, როგორც მახსოვს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს ჩვეულებრივი გატაცებით, ორატორული ხელოვნებით, მიუბაძავ ფორმაში, გაცხარებული ამტკიცებდა, რომ ჩვენ განაპირა ქვეყნებში კონსტიტუცია არა გვაქვს, მაგრამ თუ ცენტრში ინებებთ მობრძანებას, აქ კონსტიტუცია იმოდენაა, რომ ჩამოკლებაც თამამათ შეიძლებაო. ეს მაკლაკოვს მშვენიერათ ახსოვს; ალბათ, თქვენც გეახსოვრებათ თუ რამდენათ საუცხოვო იყო დეპ. მაკლაკოვის სიტყვა გარეგნული ფორმით, და რამდენათ ყალბი იყო ის შინაარსით. თქვენ წარმოიდგინეთ, დეპ. მაკლაკოვი დღეს აცხადებს, რომ ეგ ილიუზია თავიდან მოვიშორეო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მას ქონია მეორე, უარესი ილიუზია, რომელიც შემდეგში მდგომარეობის: მას გონია, რომ შესაძლებელია რეაქციონური მთავრობა ყველა მთავრობაზე ურეაქციონერესი, იძულებული გახდეს ეგზამენი დაეჭირინოს მაზე, რომ ის ცხოვრებაში გაატარებს რევოლიუციის ყველა საღ მოთხოვნილებებს. მე ვფიქრობ, რომ დეპუტატმა მაკლაკოვმა ბოლოს და ბოლოს ამ ილიუზიიდანაც უნდა გაინთავისუფლოს თავი. გარდა ამისა, მე ვკითხავდი დეპ. მაკლაკოვს, საიდან მოიყვანა მან ისეთი დებულება, ვითომც მთავრობამ, განაცხადა თუ არა, რომ რევოლიუციის საღ მოთხოვნილებებს მე განვახორციელებ რეფორმების სახითო,—იმ საათშივე საზოგადოებისაგან უსაზღვრო ნდობის გამოცხადება მიიღო.

**მაკლაკოვი** (ადგილიდან) თქვენ თვითონ შეეცადეთ ამას.

**თავმჯდ.** გთხოვთ გამოლაპარაკებას დაეხსენით.

**ჩხეიძე.** მე მგონია, რომ დეპ. მაკლაკოვმა თვითონ გამოუცხადა წინდაწინვე მთავრობას თავისი პირადი ნდობა და დღეს, როდესაც მთავრობაზე იმედი გაუცრუვდა, ის ფიქრობს, რომ მის მაგიერათ ეს საზოგადოებამ ჩაიდინა, იმ მომენტში, რომელზედაც ის მოგვითხრობდა. მე ვარწმუნებ დეპ. მაკლაკოვს, რომ იმ მომენტში, რომელზედაც მან ინება ლაპარაკი, საზოგადოებას ფიქრადაც არ მოსვლია წინდაწინვე ნდობა გამოეცხადებია მთავრობისათვის მოსალოდნელი რეფორმების გამო. ფაქტი უბრალო იყო: მთავრობამ გაიმარჯვა ტყვიის მფრქვეველებით და ხიშტებით, ხალხს პირი აუკრეს. აი, უბრალო ფაქტი (მარცხნით ტაშის ცემა) ერთი სიტყვით, მე აღვნიშნავ ფაქტს, ა...

**პურიშკევიჩი** (ადგილიდან: ბე..ე..ე.) (სიცილი მარჯვნით)

**თავმჯდ.** სახ. დუმის წევრო პურიშკევიჩ, დღეს უკანასკნელათ მოგიწოდებ წესიერებისაკენ.

**ჩხეიძე.** დეპ. მაკლაკოვს ტყუილა ხომ არ აქვს ამდენი ოპტიმიზმი და ჭკუის მოქნილება; ის აქაც მაკლაკოვათ რჩება. ის აქაც არ რჩება უნუგეშოთ. მთავრობაზე გულ-გატეხილი და ნდობა დაკარგული დეპ. მაკლაკოვი წინა სხდომაზე ამბობდა: „როდესაც მე ამას ვამბობ, მე მივმართავ, რასაკვირველია, არა მთავრობას,—საუბედუროთ, მე მთავრობის აღარაფერი მწამს, არამედ—მივმართავ სახ. დუმის იმ ნაწილს, რომელსაც ძველებურათ ჯერა,—გთხოვთ ამას ყურადღება მიაქციოთ—, რომ რუსეთის ხსნა-განახლებაც სახელმწიფოებრივ წყობილებაშია და თქვენც, ბ. ბ. უნდა აღიაროთ ეს, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მთავრობა გონს მოიყვანოთ: თქვენ სხვა დანიშნულება გიძევსთ წინ, თქვენ ეს უნდა სთქვათ იმიტომ, რომ ქვეყანამ გაიგოს, რომ ჩვენ მივუთითეთ ამაზე, რომ არა ამისათვის ვილუპებოდით, არა ამისათვის ვიბრძოდით და სხვ. თქვენ ისიც გემახსოვრებათ, რომ დეპ. მაკლაკოვის ეს სიტყვები ცენტრისაკენ იყო მიმართული, მაგრამ, საუბედუროთ, მას აქაც სრული იმედის გაცრუება მოელოდა. და აი, წაიკითხა-რა მე-VI კლასის მოწაფე ქალის უგრძესი წერილი.

**მაკლაკოვი** (ადგილიდან:) „Особа VI класса“...

**ჩხეიძე.** ბოდიშს ვიხდი, თუ შეცდომით ვთქვი, მაგრამ მე მგონია, რომ კონსტიტუციისათვის ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ქონდეს. დიახ, საბიუჯეტო კომისიის მომხსენებელმა გოლიცინმა მე-VI კლასის „ოსობას“ უგრძესი წერილი წაიკითხა, შეეცადა მთავრობის პოლიტიკური მოღვაწეობა დაეფასებია და ძალიან მოხერხებულათ დაახასიათა თავისი დამოკიდებულება პოლიციასთან. ცენტრის ლიდერმა (გოლიცინმა) ორი სიტყვით დაახასიათა პოლიცია. პიროვნების თავისუფლებაო,—განაცხადა მან,—ეს ზღაპარიაო. აქ საჭიროთ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ოქტომბრისტებს ეჭვი ეპარებათ 17 ოქტომბრის მანიფესტ ს განხორციელებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც პოლიციისაგან რაიმე საფრთხე მოელით მათ ნათესავებს ან ბიბლიოთეკებს. მოიგონეთ, როგორი აღშფოთებული ლაპარაკობდა დეპ. შუბინსკი მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის გერშელმანის განკარგულების შესახებ, როდესაც მის (შუბინ). ბიბლიოთეკას საფრთხე მოელოდა. ასეა თუ ისე, ცენტრის ერთი ლიდერის პირით ჩვენ გვითხრეს, რომ 17 ოქტომბრის ერთი საფუძველთაგანი ზღაპარიაო. როგორც ხედავთ, აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ 17 ოქტომბრის ფრაქცია თუ ჯერ არ ჩაჭრილა, სულ მალე ჩაიჭრება (სიცილი)... მხოლოდ არ ვიცი, რის ეგზამენს იჭერდა და იჭერს ფრაქცია: რევოლიუციისას, თუ რეაქციისას? ეს უნდა ჰკითხოთ თითონ მათ და დეპ. მაკლაკოვს. (ხმები: მართალია; მარცხნით ტაშისცემა.) გასაკვირალი ის არის, რომ დეპ. მაკლაკოვი იმ ფრაქციას მიმართავდა ხოლმე, რომელსაც სამი წლის განმავლობაში მის მეტი არა გაუკეთებია-რა, რომ მთავრობას ემსახურებოდა, იმ მთავრობას, რომელსაც დეპ. მაკლაკოვმა დღეს ზურგი შეაქცია. სადღა არის მაკლაკოვის ლოღიკა?

თქვენ მკითხავთ, მაშ ყველანი ჩაჭრილანო?... (სიცილი). დეპ. მაკლაკოვს გონია, რომ ყველანი ჩაიჭრენ. ჩემი შეხედულობით კი ყველანი არ ჩაჭრილან. ჩვენ ისეთებიც გვყავნან, რომლებმაც ეგზამენი ბრწყინვალეთ დაიჭირეს; თქვენ ალბათ, მიხვდით, ვისზედაც ვამბობ, და თუ ვერ მიხვდით, განიშნებთ... (მარჯვნით ანიშნებს. საერთო სიცილი). მათ უკვე უხარიათ... (სიცილი; მარცხნით ტაშისცემა) რეაქციის ეგზამენი ბრწყინვალეთ დაიჭირეს, ერთი მხრით, ჩვენმა მთავრობამ, და მეორე მხრით, ამ ვაჟბატონებმა (მემარჯვენეებზე ანიშნებს). თქვენ გეხსომებათ, როგორი პასუხი გასცა შინაგან საქმეთა სამინისტრომ, კრიჟანოვსკის პირით, დეპ. მაკლაკოვს მის მხურვალე საბიუჯეტო სიტყვაზე. კრიჟანოვსკიმ დაახლოვებით შემდეგი სთქვა: „რომ ბევრი ლაპარაკი და კრიტიკა არ გამოიწვიოს, ხარჯთ-აღრიცხვაში ჩვენ ზოგიერთი შემოკლება შეგვაქვს და თანხმობას ვაცხადებთ მის შესწორებაზე (სიცილი). როდესაც ის ტრიბუნიდან ჩამოვიდა, მე მგონია, მაკლაკოვს ჩუმათ კითხვა დაებადა: ესეც გვიბრძანეთ, როგორ გაქვთ ქვეყნის მართვა-გამგეობის საქმე დაყენებული? ამაზე პასუხი გასცა დეპ. მარკოვმა.

— ამგვარი ცხოვრების გაგრძელება აწი შეუძლებელია, ამბობდა დეპ. მაკლაკოვი.

— მადლობა ღმერთსო,—კრიჟანოვსკის მაგიერ უპასუხა დეპ. მარკოვმა. (მარცხნით ტაშისცემა; მარჯვნით სიცილი).

პიროვნების თავისუფლება ზღაპარიაო—განაცხადა აქ თავ. გოლიცინმა. რისი დამტკიცებაც საჭირო იყო—უპასუხა დეპ. მარკოვმა. კონსტიტუციას ფეხ-ქვეშ თელავს გრადონაჩალნიკი ტოლმაჩევიო,—ჩიოდა მაკლაკოვი. გაუორკეცდეს ტოლმაჩევს ჯამაგირიო,—იძახდა მარკოვი (ტაშისცემა მარცხნით; სიცილი მარჯვნით). ჩემ ნაცნობ ქალს პოლიციამ შეურაცყოფა მიაყენაო,—წუწუნით ამბობდა გოლიცინი. დუმაში შეკითხვა შეიტანეთ და ვნახავთო,—კრიჟანოვსკის მაგიერ უპასუხებს მარკოვი (სიცილი). კადეტი ქალაქის თავათ არ დაამტკიცესო,—ჩიოდა მაკლაკოვი.

რაო?—გაფთრებული კითხულობდა დეპ. მარკოვი,—ახლავე სახრჩობელები დასდგით მოღალატე კადეტებისთვისო (სიცილი). მუშათა პროფესიონალური კავშირები განადგურებულია, რადგან იქ თავს იყრიან სოციალდემოკრატებიო,—კურლოვის მაგიერ ამბობს დეპ. მარკოვი.

„ინორიდცებს“ ავიწროებენო,—აღშფოთებულია დეპ. მაკლაკოვი.

არ დაზოგოთ, სცემეთ ჟიდებს, ფინლიანდიელებს, პოლონელებს, ლიტველებს, მალოროსებს, მოლდავანებს, სომხებს, ქართველებს,—მთავრობის კურთხევით იძახდა დეპ. მარკოვი (სიცილი და ტაშისცემა).

რუსეთის ლიტერატურის სიამაყეს, რუსეთის საზოგადოების საუკეთესო მოღვაწეს—ლ. ნ. ტოლსტოის ძალიან აწუხებენ, იძულებულს ხდიან ცრემლები ღვაროს.

— გასაპნული ბაწარი კისერში ამ საზიზღარ მოხუცსო,—ეკლესიის მამების ხელ-დასმით გაიძახის დეპ. მარკოვი (მარცხნით ტაშის ცემა). ერთი სიტყვით, მარჯვენა მხრიდან გვეუბნებიან: ჩვენ ზურგს ხიშტები გვიმაგრებს და მთავრობასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მივდივართო. მე მგონია, რომ მთავრობამ და ამ ვაჟბატონებმა ამ მხრით მართლაც დაიჭირეს ეგზამენი. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ბნელი ძალები თავს იყრიან და კავშირდებიან; და ეს ხდება იმ დროს, როდესაც თქვენ თქვენი საპარლამენტო მუშაობით უკან-უკან იქაჩებით და როდესაც ჩვენი კონსტიტუციონალისტები „დე იურე დე ფაქტო“ იმაზე ფიქრობენ, თუ რა ნიშანი დაუსვან მთავრობას, ან დაიჭირა მან ეგზამენი თუ არა. როდესაც მთავრობის გასული წლის პოლიტიკას ვითვალისწინებთ, ჩვენ იმავე დასკვნამდე მივდივართ, რომელზედაც არა ერთხელ მისულვართ. უარი ეყოს მთავრობას შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცებაზე და გამოეცხადოს მას სრული უნდობლობა ამ ტრიბუნიდან. ჩვენ ვიწვევთ....

. . . . . . . . . . .

(მარცხნით ტაშის ცემა).

გაიგებთ,—იბადებიან ქალები როსკიბებათ თუ არათ.

გაუმჯობესეთ მათი მდგომარეობა ფაბრიკა-ზავოდებში, მიეცით მათ უფლება იყვნენ მონაწილენი თავის ბედ-იღბლისა და ნახავთ თუ არ შემცირდეს ეს ადამიანის დამამცირებელი ხელობა—თავის გაყიდვათ. მარა, განა თქვენ წადგით წინ ნაბიჯი ქალების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ? განა თქვენ ისინი ადამიანათ მიგაჩნიათ?! თქვან ლაპარაკობთ „რეგლამენტაციაზე“. რა არის რეგლამენტაცია თუ არა მთლათ გამათახსირებელი საშუალება! საკმარისია პოლიციელმა თუ მეეზოვემ ეჭვი შეიტანოს რომელიმე ქალზე, რომ ის გარყვნილებას ეწევა, მაშინვე იჭერს და მიყავს პოლიციაში, იქიდან მათ გზავნიან ექიმთან შესამოწმებლათ ავათმყოფია თუ არა, შემდეგ პოლიცია აძლევს მას „ყვითელ ბილეთს“ და სწერს მას როსკიპთა რიცხვში. ამის შემდეგ მას არ შეუძლია დაუბრუნდეს პატიოსან ცხოვრებას, მას აღარ შეუძლია სამსახური იშოვოს, მას ყველა დასცინის, ყველა უყურობა როგორც არა პიროვნებას, არამედ—ნივთს და მთელი მის სიცოცხლეს გარყვნილების მორევში ლევს. აი, ამიტომ გაურბიან მათ როსკიპი ქალები. გაურბიან იმ სამარცხვინო დიპლომს, რომელიც სამუდამოთ სპობს მასში ადამიანობას. დიახ, გაურბიან და მალვით უფრო ავრცელებენ საშინელ სენს. თქვენ ასახელებთ წმ. მაგდალინას თავშესაფარებს, მარა იქიდანაც ხომ გარბიან. რატომ?—იმიტომ, რომ იქ მათ სცემენ, ლანძღავენ და სტანჯავენ. მოეპყარით ადამიანურათ, გაუღვიძეთ მათ ადამიანური გრძნობა და ისინი ეცდებიან დადგენ პატიოსან გზაზე. მე გეკითხებით თქვენ—განაგრძობს შერბანინა—ვინ რყვნის ქალებს, ვინ ამხინჯებს მათ თუ არ მამაკაცი! მერე სად არის კანონი, რომელიც მათ სჯიდეს. რატომ კანონი არ სჯის მათ?! რა დააშავა ქალმა? რატომ მისი ხვედრია ტანჯვა, წვალება, სამარცხვინო ბოძზე მიკვრა? რატომ იბადება ქალი როსკიპული თვისებით და არა ის, ვინც არის მისი დამღუპველი?! რატომ ქალი უნდა იყვეს პოლიციის მხედველობის ქვეშ და ატარებდეს სამარცხვინო ბილეთს და არა ის „ბატონები“, რომლებიც უტიფრათ რყვნიან მოახლეებს, გუვერნანკებს? რატომ უნდა იყოს ქალის ხვედრი ტანჯვა-წვალება და მამაკაცთა ხვედრი კი კანონების და „რეგლამენტაციების“ წერა? თავიანთ მსხვერპლის დასასჯელათ?

განა ეს სამართალია? იმის მაგიერ, რომ ავაგოთ სკოლები, რომ შევქნათ ნამდვილი, წესიერი, ადამიანური თავშესაფრები იმ საბრალოთა დასახმარებლათ, თქვენ ამბობთ „ავაგოთ საროსკიპო სახლებიო“! სირცხვილია ამ სიტყვების გაგონება ექიმის პირიდან. დრო არის ამ სამარცხვინო, ამ დამამცირებელ სენს ბოლო მოუღოს, დროა მივიღოთ შესაფერი ზომები მის მოსასპობლათ თუ არა, შესამცირებლათ მაინც, დაათავა თავის სიტყვა ქ. შერბანინამ. ორატორი დაუსრულებელი ტაშისცემით დააჯილდოვეს. ამავე საკითხზე კიდევ ბევრმა ილაპარაკა. თითქმის ყველა ორატორის მიერ „რეგლამენტაცია“ უარყოფილ იქნა როგორც ზომა გარყვნილების მოსასპობათ.—როცა ამბობენ რომ როსკიპობის მოსპობა შეუძლებელიაო, ერთა წევრმა, შემდეგი უპასუხა. «ფინლანდიაში იმის შემდეგ, რაც ქალებს ხმა მისცეს, იმ დღიდან, რაც ისინი სრულ უფლებით ერევიან სახელმწიფო და საზოგადო საქმეში, გარყვნილება შემცირდა, როსკიპთა რიცხვმა თვალსაჩინოთ იკლოვო.

საერთოთ ეს კრება მეტათ საინტერესო იყო. კომისიის ერთათ ერთ წევრს მიენდო შეძლების და გვარათ შეკრიბოს ცნობები როსკიპების მდგომარეობის შესახებ ჩვენში და შემდეგ მომავალ საზოგადო კრებას წარუდგინოს.

ქორ. ტოროლა.

# უკანასკნელი ფოსტა

## საზღვარ-გარეთ

**1848 წ. რევოლიუციაში** დახოცილ მებრძოლთა ხსოვნის პატივსაცემლათ სოციალდემოკრატებმა ბერლინში დემონსტრაცია გამართეს. დემონსტრაციის შიშით თავზარდაცემულმა პოლიციამ ქალაქი განსაკუთრებულ წესებზე გამოაცხადა. სასაფლაოს, სადაც 1848 წ. მებრძოლნი არიან დამარხულნი, პოლიციამ წრე შემოარტყა; ჯარებმა ბრძანება მიიღეს მზათ ყოფილიყვენ ყაზარმებში. დილა ადრიან დემონსტრანტები დახოცილ მებრძოლთა სასაფლაოსკენ გაემართენ. სასაფლაოზე თავი მოიყარა 12,000 კაცმა და ქალმა. მებრძოლთა ძეგლებზე 350 გვირგვინი ჩამოკიდეს. პოლიციელებმა გვირგვინებზე ბევრი ლენტები ჩამოსჭრეს, რომლებზედაც რევოლიუციონური წარწერები იყო. გაზეთები ქებით იხსენიებენ სოციალდემოკრატებს, რომლებმაც თავდაჭერილი მოქმედებით პოლიციელებთან შეტაკება ააშორეს დემონსტრანტებს.

## ახლო-აღმოსავლეთი

**აგრარული მოძრაობა.** ბუქარესტიდან „რ. ს.“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ სოფელ ბეკეტის გლეხებმა მთავრობის ნება დაურთველათ დაიწყეს სახელმწიფო მიწების ხვნა. გლეხები მუშაობის დროს თოფებით და ნაჯახებით არიან შეიარაღებულნი. გლეხების „დასაწყნარებლათ“ გაიგზავნა ჟანდარმები.

— აგრარული მოძრაობა თესალიაში გართულდა. ის მემამულეები, რომლებსაც ადგილები უნდა ჩამოერთვათ, აღმოჩნდენ ოსმალოები. ამიტომ ოსმალეთმა მოითხოვა მათი ინტერესების დაცვა, წინააღმდეგ შემხვევაში სამაგიეროს გადახდით ემუქრება საბერძნეთს. დრაგუმისმა აცნობა ოსმალეთის მთავრობას, რომ საბერძნეთის მთავრობა მემამულეების მიწების ჩამორთმევაზე არას გზით არ დასთანხმდება. თესალიელი დეპუტატები გლეხებს ურჩევენ კანონიერ ფარგალში დარჩენ და არეულობას ნუ მოახდენენ.

## რუსეთი

**მემარცხენე ფრაქციების პროტესტი.** სოციალდემოკრატიულმა ფრაქციამ და შრომის ჯგუფმა პროტესტი განუცხადეს სახ. დუმის თავმჯდომარეს შიდლოვსკის, რომელმაც ნება მისცა პურიშკევიჩს ლანძღვა-გინებით მოეხსენიებია მოსწავლე ახალგაზრდობა.

**სტუდენტების კრება.** 6 მარტს პეტერბურგის უნივერსიტეტში შესდგა სტუდენტების საერთო კრება, რომლის მიზანი იყო პროტესტი გამოეცხადებია პურიშკევიჩის გამოსვლის წინააღმდეგ. კრებაზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა თავისუფალ მსმენელ ქალთა წარმომადგენელმა. მან განაცხადა, რომ ისეთი ზნეობრივათ არა ნორმალური ადამიანის სიტყვები, როგორიც პურიშკევიჩია, რუსი ქალის ღირსებას ვერ დაამცირებსო. „ჭეშმარიტ რუს“ სტუდენტების სახელით სტუდ. შენკენმა სთქვა, რომ ის თავისი ამხანაგების სახელით პროტესტს აცხადებს პურიშკევიჩის წინააღმდეგ, რომელმაც საზიზღარი ცილი დასწამა თავისუფალ მსმენელ ქალსო. „ჭეშმარ. რუს“ სტუდენტების პროტესტმა ყველა გააკვირა. რამდენიმე ორატორების სიტყვების შემდეგ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „სტუდენტების საერთო კრება ზიზღს უცხადებს ბესარაბიელ აზნაურების მიერ არჩეულ დეპ. პურიშკევიჩს, იმ სამარცხვინო და უზნეო საქციელისათვის, რომელიც მან ჩაიდინა სახ. დუმაში 3 მარტს. სტუდენტები პროტესტს უცხადებენ დუმის თავმჯდ. ხომიაკოვს, რომელმაც არა თუ თავის დროზე არ შეაჩერა ცილის-მწამებელი, არამედ—შეეცადა ოპოზიციის სამართლიანი პროტესტისათვის ბოლო მოეღო. პეტერბურგის სტუდენტობა თავის ღრმა თანაგრძნობას უცხადებს სახ. დუმის ოპოზიციას, რომელმაც მტკიცეთ დაიცვა მოსწავლე ახალგაზდობის პატივი“.

ეს რეზოლიუცია კრებამ ერთხმათ მიიღო.

— პურიშკევიჩის წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა აგრეთვე მოსკოვის ტეხნიკური სასწავლებლის სტუდენტთა კრებამ.

**თანაგრძნობის გამოცხადება.** პ. ნ. მილიუკოვი, რომელმაც მთელ დუმას ოპოზიციასთან ერთათ სასტიკათ დაგმო პურიშკევიჩის უსირცხვო ცილისწამება,—პროფესორებიდან და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთაგან თანაგრძნობის წერილებს და დეპეშებს ღებულობს.

**პურიშკევიჩის გაჩხრეკა.** როგორც გაზეთი „რ. უ.“ გადმოგვცემს, 5 მარტს, დილით პურიშკევიჩის ბინა გაუჩხრეკიათ დამცველი პოლიციის უმაღლესს მოხელეებს. ამ დღიდან პურიშკევიჩის ბინაზე მცველები დაუყენებიათ. მცველები თვალყურს ადევნებენ აგრეთვე თვითონ პურიშკევიჩსაც.

**გაერთიანებულ თავ.-აზნაურ. სიეზდი.** 14 მარტს პეტერბურგში გაიხსნება გაერთიანებულ თავ.-აზნაურთა სიეზდი. სხვა პოლიტიკურ საკითხთა შორის სიეზდმა უნდა განიხილოს ფინლიანდიის საკითხი. სიეზდზე სხვადასხვა საკითხების შესახებ წაკითხული იქნება მოხსენებანი. სიეზდზე თავმჯდომარეობა, „რ. ვ.“ სიტყვით, მინდობილი აქვს სახ. დუმის წევრს ა. ა. ბობრინსკის.

**დეპუტატ გეგეჭკორისათვის** მიუმართავს რუდოლფ გლაზენკს, რომელიც 1905 წლიდან ციხეში იტანჯება და უთხოვია იშუამდგომლოს, რომ დაჩქარებულ იქნას მისი საქმის განხილვა.

## ღია წერილი შიო ქუჩუკაშვილს

1909 წელს, აპრილის გასულს ძანსულის მადნის მუშებმა გამოგიგზავნა თქვენ 5 მანეთი „ჩანგის“ და „დროების“ გამოსაწერათ. დღემდის არც ერთი გაზეთის ნომერი არ მიგვიღია. ახლა ჩამოვედი თფილის და გავიგე, რომ ეს ფული თქვენ მიგიღიათ, ამიტომ გთხოვთ ეს ფული გადასცეთ „ახალი სხივის“ რედაქციას და მით საშუალება მოგვცეთ აღნიშნულ ადგილას გაზეთი გაგზავნოთ.

პატივისცემით: გიგო გასალაშვილი.

# პროვინცია

**ზემოხეთის საზოგადოება (გურია).** სხვა საზოგადოებებთან შედარებით ზემოხეთის საზოგადოება ფრიად ჩამორჩენილია კულტურულათ.

აქაური მკვიდრნი ღარიბი ხალხია, მიწები ნაკლები აქვთ, მოსავალი ცუდი მოდის და ხალხიც შიმშილობას განიცდის. ვისაც აქვს ფული, ყიდულობს სიმინდს ვისაც არა, მშიერი არის

სწავლა-განათლების მხრით ძლიან დაქვეითებულნი არიან. ამ რამდენიმე ხნის წინათ განიზრახეს სასწავლებლის დაარსება, მაგრამ ამათო. ურიდობაზე მოხდა არევ-დარევა და ჩხუბი. ყველას თავის ახლოს უნდოდა შკოლა დაარსებულიყო. ამ არევ დარ ვის გამო საზოგადოებას გამოეყო ერთი ნაწილი, შეუერთდა მეორე საზოგადოებას, ნანეიშვილისეულს და დაადგინა „პრიგოვორი“ აეშენებიათ ცალკე სკოლა. „პრიგოვორი“ წარადგინეს სადაც ჯერ არს და ნებართვაც მიიღეს უკვე შეუდგენ სკოლის შენობის აგებას საჯამის სერზე.

ამასთან ითხოვეს სამკითხველოს ნებართვა და კიდევაც მიიღეს. საჭიროა დახმარება წიგნებით თუ ფულით.

დროებით ქალაქელი.

**დაბა სურამი.** აქეთ კარგი ამინდებია. ხეხილები ყვავის. კვირას, 7 მარტს, მოხდა კერძო პროგიმნაზიის შესახებ კრება. სკოლის კომიტეტმა დამსწრე საზოგადოებას გააცნო სკოლის მდგომარეობა და ანგარიშიც წარუდგინა 1908 წ.—1910 წლამდე სულ შემოსულა სკოლის სასარგებლოთ 5157 მ. და 83 კ. ხარჯი ყოფილა 5150 მ. 67 კ. ასე რომ, დღეს დარჩენიათ მხოლოდ 7 მ. თავმჯდომარემ აუხსნა ხალხს სკოლის გაჭირვებული მდგომარეობა და სთხოვა შეეგროვებიათ როგორმე მათზე დარჩენილი ფული. საზოგადოებამ აღუთქვა დახმარება. აირჩიეს უბან უბან კაცები ფულის მოსაგროვებლათ. აქაურმა სცენის მოყვარეებმა აღუთქვეს სკოლის სასარგებლოდ გამართონ ზაფხულობით წარმოდგენები.

ერთი მიზეზი ამ სკოლის დაქვეითებისა მატერიალურის მხრივ არის „კლუბი“. რამდენიმე თვეა რაც ის დაარსეს. დაარსა ინტელიგენციამ ე. ი. აქაურმა „ჩინოვნიკებმა“. კლუბის წევრებმა უმეტეს ბანქოს თამაშს დასასრული არა აქვს, ფულებს ასობით აგესკოლისთვის და სხვა კულტურულ დაწესებულისთვის მანათსაც კი არ გაიღებენ. მოძრაობის შემდეგ დახურეს სამკითხველო და აქამდის ვერ მოუხერხებიათ დაარსება ხელმეორეთ.

ნოვა.

# მუშათა შორის

**თფილისის ნოქართა ცხოვრებიდან.** კვირას, 7 მარტს, ძმ. ზუბალაშვილების სახლში დანიშნული კრება არ შესდგა, რადგან კრებაზე მხოლოდ 13 კაცი გამოცხადდა. ამ დღეს უნდა მოეხდინათ არჩევნები. საქმისადმი ასეთი გულგრილობის მიზეზი ის არის, რომ ჩვენი ნოქრები რადგან ამატიურმა გრძნობამ შეიპყრო,—თითქოს დაიღალენ და ყოველივე საზოგადო საქმეს გაურბიან. ყველა ნოქარმა კარგათ უნდა იცოდეს 15 ნოემბრის კანონის მნიშვნელობა, კარგათ უნდა იცოდეს, რომ კანონი ასე თუ ისე ეხება მათ მდგომარეობას და ასე გულგრილათ არ უნდა შეხვედროდენ ამ კრებას. საზოგადოთ ჩვენი ნოქრები დიდს ენერგიას და სიფრთხილეს იჩენენ კარტ-ნარდის თამაშში და ღვინის სმაში. ნუ თუ ვერ შეუგნიათ ჩვენს ნოქრებს, რომ ასეთი მოქმედება სამარცხვინოა და არ შეშვენის მათ. ნუ თუ ისე შიანთქა ყოველივე მათი მისწრაფება რეაქციონერმა ხანამ, რომ დაავიწყდათ ყველაფერი? მაშ ჩვენ მოვაგონებთ მათ.

საკმარისია გავიხსენოთ 1907 წლის ბრძოლა ამ არჩევნებისთვის. ერთი მხრივ იდგენ თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული, შეუგნებელნი „ზინოვრები“ და მათ მფარველობის ქვეშ მყოფნი ბურჟუა ნოქრები, მეორე მხრით კი იდგა თფილისის უპარტიო ნოქართა კავშირი და მათი ხელმძღვანელნი, რომელნიც ურჩევდენ მუშებს არ ყოლოდათ მათ პროვოკაციულ ფეხის ხმას. თუმცა ბევრი მაგალითებია მათი ღირს-შესანიშნავი მოქმედებისა, მაგრამ ჯერ ეს ვიკმაროთ. ეხლა კი საჭიროა ყველა ჩვენგანმა მოვიგონოთ, გავიხსენოთ ყველა მათი მოქმედება და ანგარიშიც გავუწიოთ. ვეცადოთ მივიღოთ მონაწილეობა ამ არჩევნებში, თუმც იმედი ცოტაა, მაგრამ მაინც, ჩვენი ინტერესები მოითხოვს, რომ სადაც შესაძლებელი იქნება გავიყვანოთ ჩვენი ინტერესების დამცველნი, რომ მით უფრო ფარდა აეხადოს ყველა მოწინააღმდეგეთა მოქმედებას. უნდა ვისარგებლოთ ამ არჩევნებით, მხურვალე მონაწილეობა უნდა მივიღოთ შიგ და ამმონაწილეობით გარს შემოვიკრიბოთ ნოქართა მასსა

ნოქარი ერმილე.

# თეატრი და ხელოვნება

**დასის მოგზაურობა.** თფილისის დრამატიული დასი გამართავს წარმოდგენებს:

**ჭიათურაში.** 11 მარტს, ადგილობრივ თეატრში—«ჰამლეტი». 12 მარტს „ურიელ აკოსტა».

**ქუთაისში** 13 მარტს, ადგილობრივ თეატრში „ჰამლეტი“, 14 მარტს „ურიელ აკოსტა“, 16 მარტს ბენეფისი ვლ. ალ.-მესხიშვილისა—„შავი ბერი“, „სიკვდილი ნაპოლეონისა“.

**სამტრედიაში.** 17 მარტს რკინის გზის თეატრში—„ჰამლეტი“.

**ფოთში.** 18 მარტს „ჰამლეტი“; 19 მარტს „ურიელ აკოსტა“. დასში: არიან ქ. ქ. მ. მდივანი, ნ. რიონელი, პ. შოთაძე ბ. ბ. ვლ. ალექსი მესხიშვილი, კ. მესხი, ი. ზარდალიშვილი, ი. ივანიძე, ვ. ურუშაძე, ო. ყიფიძე, ვ. მატარაძე, ბ. ბეგლარიძე, ალექსიძე ი. გრიშაშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

მ. ხ. ბ. რედქტორო! ამ რამდენიმე თვის წინათ, მგონი გაზ. „მომავალში“ მოთავსებული იყო წერილი ბორჯომიდან, თუ არ ვცდები „ვაზელი-“ს ფსევდონიმით. ამ წერილში ავტორი, სხვათა შორის სწერდა: „დიდ მთავრის მამულების გამგემ,—ბ. ვინაგრადოვმა 3 მ. შესწირა ეგ. ნინოშვილს ფონდსო, რომელიც სცენის მოყვარეებს გადასცაო,“—მას მერე ქურ.-გაზეთში არ წამიკითხავს, რომ ბ. ვინაგრადოვის შეწირული 3 მან. ან „მომავლის“ და ან «ჯეჯილის» რედაქციას მიეღოს.

ჩვენ მოვითხოვთ განმარტებას, ბორჯომის სცენის მოყვარეებისაგან ვის გადასცეს დანიშნული სამი მანეთ.

ბორჯომელი ტ—ძე.

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესათ გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ახალი სხივი“-ს უახლოეს ნომერში მოთავსოთ შემდეგი: „ბ. სილოვან თოიძე მიწვევს მე სამედიატორო სამართალში ს. ლიხაურიდან კორესპონდენციის მოთავსებისათვის. თავის გამოსაწვევ წერილში ის ამბობს, რომ „ხსენებული კორესპონდენცია შეიცავს შეთხზულ ჭორებს და მასთან კორესპონდენტმა მეც ამომიღო მიზანში და ცილი დამწამა“-ო. სრულიადაც არა! მე მის პიროვნებასთან არა მაქვს საქმე, მხოლოდ ჩემს კორესპონდენციაში ავღნიშნე უტყუარი მომხდარი ფაქტები და შევეხე იმ თანამდებობას „არჩეულ მშვიდობიანობის დამცველი მამასახლისისას“, რომელიც მას უჭირავს. ჩემთვის სულ ერთია ბ. სილოვანი იქნება თუ სხვა. მე ისიც მიკვირს, რომ ასეთ ნათელ მოვლენას 72 კაციც ხელს უწერს საწინააღმდეგო წერილზე, მაგრამ ამაზე შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, მე დიდი მოხარული ვარ, რომ ბ. სილოვანმა გამომიწვია სამედიატორო სამართალში. მედიატორეებათ ჩემის მხრით ვასახელებ მასწავლებელს გიორგი ქილიფთარს და ნანიკო მჟავანაძეს.

ბუკ.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე


# განცხადება

კბილის ექიმი

**პ. ა. ქაჯაია**

მიღებს ავათმყოფებს დილის 9 საათიდან საღამო 7 სა-მდე.

მე-2 თუმანოვის ქუჩა, № 17.

# ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

## თესლეულობის მაღაზიაში

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების **პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი.** მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ.

(25—2)


## მატარებლების მიმოსვლა

**15 ოქტომბრიდან 1909 წ.**

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმდან:** საფოსტო № 4, 10 ს 40. წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მაიხილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან ღამით 4 ს. 48 წ.


ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობრი

მაღაზია

# პ. ა. მაჭარაძის და პ. ა. ჭეიშვილისა

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის **დიდის არჩევით** ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● **ფასები ხელმისაწდომია** ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს.

(0—3)